



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 27

6 აგვისტო 2021 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს №02/08/01 განკარგულების შესაბამისად, 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნების გამჭირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.
2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით გამოყოფილ იქნეს ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩის №237-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობა).
4. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:
 - ა) სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას;
 - ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოდრავი ქონება) (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა).
5. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
6. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოდრავი ქონება) (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას.

7. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

8. ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

ბ) გამოიკრას სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: www.senaki.gov.ge.

9. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის /თვითმმართველი თემის მერის მორიგ არჩევნებზე.

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი